



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ბრძანება

GEORGIA

CHAIRMAN OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

ORDER



ბრძანება:ბ135. 135243442

თარიღი:09/12/2024

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ზაურ ჩართოლანის მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის და „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის N211 დადგენილების და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის მოწვევის (N31491/30 - 21.11.2024) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. მივლინებულ იქნას **ავსტრიაში, ქ. ინსბრუკში**, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ზაურ ჩართოლანი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტის მიერ მოპოვებული გრანტის „მთიანი დასახლებების მედეგობის ჩამოყალიბება კრიზისების მიმართ ალპებსა და კავკასიაში“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ავსტრიის განათლებისა და ინტერნაციონალიზაციის სააგენტოს მიერ, სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობის მიღების მიზნით მიმდინარე წლის 18 დეკემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით.
2. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს ავსტრიაში, ქ. ინსბრუკში, ვიზიტისათვის საჭირო შემდეგი ხარჯების უზრუნველყოფა.
 - ა) 7 დღის დღიური ხარჯი;
3. დაევალოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს დროულად განახორციელოს ავსტრიაში ვიზიტისათვის საჭირო თანხის სახელფასო ანგარიშზე ჩარიცხვა.
4. მიღებული ბრძანების შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურს.

5. ბრძანება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ.)

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

